პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 75 (3559) 17 1968 წ. აპრილი, ოთხშაბათი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 24-ე წელი.

## სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში

## ჯერჯერ...

ქუთაისში გაიმართა „ა“ კლასის უმაღლესი ლიგის დუბლიორთა მორიგი კალენდარული მატჩი. ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „ტორპედოსა“ და ერევნის „არარატის“ გუნდები. ანგარიშით 1:0 გაიმარჯვეს ქუთაისელმა ფეხბურთელებმა. გოლის ავტორია ჭოლაძე.




## სსრ კავშირის ჩემპიონატი კალათბურთში

მოსკოვი. ცსკა-ს სპორტდარბაზი. 15 აპრილი.

ცსკა — „დინამო“ (თბილისი) 60:68 (30:30).

ცსკა: კულკოვი (4), ასტახოვი (2), სელიხოვი (4), კაპრანოვი (27), ტრავინი (7), მედვედევი (14), ბოროდინი (2), ნესტეროვი, კოვირკინი.

„დინამო“: ლეჟავა (10), ალთაბაევი (8), უგრეხელიძე (16), ქორქია (17), ნარიმანიძე (1), მაღალაშვილი (8), მოსეშვილი (8), ქარაბაკი, მამალაძე.

მსაჯები: გ. მუხამეძიანოვი (ყაზანი), ა. კუუსკვერე (ტალინი).

ყოველ ქულას თავისი საგანგებო ადგილი და როლი აქვს სატურნირო ცხრილში. ჩემპიონატის სტარტზე იგი მხოლოდ არითმეტიკული ერთეულია, რომელსაც ისევე ადვილად პოულობენ, როგორც კარგავენ. მაგრამ საკმარისია ბრძოლამ უფრო გამოკვეთილი სახე მიიღოს, გაირკვეს ლიდერის ან აუტსაიდერის ვინაობა, რომ ქულის ღირებულება ერთბაშად იცვლება.

„დინამოსა“ და ცსკა-ს პირველი ორი წრის მატჩები, რომლებიც შარშან დეკემბერში ჩატარდა, მოკლებული იყო ამ მნიშვნელობას. ბრძოლის სიმძაფრე ამ შეხვედრებს მხოლოდ ტრადიციულად მოსდევდა, თორემ ჯინ შეუდგებოდა ქულების დათვლას, როცა ზოგიერთ კოლექტივს ძირითადი შემადგენლობაც კი არ ჰქონდა დადგენილი. მეტოქეებმა სტარტზე ქულები გაიყვეს და მთავარი საკითხი გადაუჭრელი დატოვეს.

ისინი ერთმანეთს ხელახლა ოთხი თვის შემდეგ შეხვდნენ. ამ ხნის მანძილზე სატურნირო ცხრილმა მღელვარე ცხოვრება გადაიტანა და საბოლოოდ ჩამოყალიბდა უძლიერესთა ჯგუფი, რომელსაც, თავის მხრივ, საპატიო წოდებისთვის ბრძოლის მთელი სიმძაფრე უნდა გადაეტანა. და თითქოს განგებ, ძველ მეტოქეთა ინტერესები ამჯერადაც ერთმანეთში გადაიხლართა. ოღონდ განსხვავება ის იყო, რომ ახლა უკვე ჩემპიონებს ედავებოდნენ ლიდერები.

მოსკოვში პირველმა მატჩმა სიხარული მასპინძლებს მოუტანა. თუმცა ამ სიხარულში ბევრი რამ შემთხვევითობის წყალობა გახლდათ. დინამოელებმა წააგეს პრინციპული ბრძოლა, რაც შესაძლოა მათთვის საბედისწერო გამოდგეს. „დინამო“ დამარცხდა მაშინ, როცა ამის ყველაზე ნაკლები უფლება ჰქონდა. მაგრამ რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, განმეორებით მატჩში რევანშის რეალობა სწორედ ამ მარცხმა განაპირობა.

... თბილისელები თავიდანვე დაწინაურდნენ და ინიციატივა ტაიმის ბოლომდე ხელიდან არ გაუშვიათ. ახლა უკვე მოსკოველები ცდილობდნენ წონასწორობის აღდგენას, ჩქარობდნენ და, როგორც ეს ხშირად ხდება, უფრო მეტად ცდებოდნენ.

დინამოელთა სასტარტო ხუთეული (ლეჟავა, ალთაბაევი, უგრეხელიძე, ქორქია, ნარიმანიძე) თამაშობდა მშვიდად და რაციონალურად. არმიელთა შორის ბრძოლის უნარით გამოირჩეოდა კაპრანოვი, რომელიც ეფექტურად ბომბავდა თბილისელთა კალათს, მეტწილად შორიდან. დინამოელებს აშკარად უჭირდათ ფარქვეშ ბრძოლა. ამიტომ ისინი საგანგებოდ არჩევდნენ ყოველმხრივ ხელსაყრელ პოზიციას და ამის შემდეგ ესროდნენ კალათს.

პირველმა ტაიმმა უძლიერესი ვერ გამოავლინა, მაგრამ ინიციატივას კვლავ თბილისელები ფლობდნენ. შესვენების შემდეგ რამდენიმე სწრაფი შეტევის წყალობით არმიელები დაწინაურდნენ, მაგრამ ეს გახლდათ დროებითი წარმატება, რომელიც გუნდს საკმაოდ ძვირად დაუჯდა: მოედანი ზედიზედ დატოვეს ნესტეროვმა და სელიხოვმა.

დინამოელთა შორის რამდენიმე ეფექტური შეცვლა მოხდა. განსაკუთრებით ნაყოფიერი გამოდგა მოსეშვილის შემოსვლა, რომელმაც ერთგვარად დახვეწა თბილისელთა ნაჩქარევი იერიშები. ფარქვეშ უფრო აქტიურად ამოქმედდნენ ლეჟავა და ქორქია. ბოლოსდაბოლოს უგრეხელიძის ზუსტმა სროლამ კვლავ დააწინაურა გუნდი. თამაშის დამთავრებამდე 6 წუთით ადრე მოედანი დატოვა ცსკა-ს ერთადერთმა შედეგიანმა და აქტიურმა ცენტრალურმა თავდამსხმელმა მედვედევმა (მოსკოველებს შემადგენლობაში ჰყავთ 5 ორმეტრიანი ცენტრი, რომლებმაც ამ დღეს კოლექტივს ვერც ერთი ქულა ვერ მოუტანეს). ეს მათთვის საბედისწერო გამოდგა. თბილისელები საბოლოოდ და მტკიცედ დაეუფლნენ ინიციატივას, თუმცა ბრძოლის ბედი გაცილებით ადრე იყო გადაწყვეტილი.

ბოლო ხუთ წუთში სტუმრების გამარჯვება ეჭვს აღარ იწვევდა. უპირატესობა მათ ნელ-ნელა და მტკიცედ აქციეს ძვირფას ქულად, რომელიც ალბათ გადამწყვეტ როლს ითამაშებს ოქროს მედლებისთვის ბრძოლაში. გამარჯვებულზე მხოლოდ ერთის თქმა შეიძლება: იგი თამაშობდა უაღრესი მონდომებით, დამაჯერებლად და შინაარსიანად.

მსაჯობა ორივე მატჩში ბრწყინვალე იყო.

ნ. ბუბუშვილი.
(ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.).

### გათამაშების ცხრილი

| | თ. | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| „დინამო“ (თბილისი) | 40 | 28 | 12 | 2957—2764 | 28 |
| ასკ (კიევი) | 41 | 27 | 14 | 2866—2698 | 27 |
| ცსკა | 42 | 26 | 16 | 2775—2633 | 26 |
| „სპარტაკი“ (ლენინგრადი) | 38 | 24 | 14 | 2753—2661 | 24 |
| „სტროიტელი“ (კიევი) | 42 | 24 | 18 | 2744—2627 | 24 |
| „კალევი“ (ტარტუ) | 42 | 21 | 21 | 2765—2693 | 21 |
| ვეფ (რიგა) | 38 | 19 | 19 | 2653—2656 | 19 |
| ასკ (რიგა) | 42 | 19 | 23 | 3065—3064 | 19 |
| „ბურევესტნიკი“ (თბილისი) | 39 | 19 | 20 | 2586—2532 | 19 |
| „ჟალგირისი“ (კაუნასი) | 36 | 18 | 18 | 2520—2486 | 18 |
| „ურალმაში“ (სვერდლოვსკი) | 42 | 9 | 33 | 2557—3231 | 9 |
| „ბურევესტნიკი“ (ბაქო) | 40 | 8 | 32 | 2968—3416 | 8 |

### მეორე მატჩში

კიევი, 15 აპრილი. განმეორებით მატჩში ადგილობრივმა „სტროიტელმა“ დაამარცხა ტარტუს „კალევი“ — 66:52 (37:17).

## ა. მეტრეველის წარმატებაცა და მარცხიც

მონტე-კარლო, 16 აპრილი. ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირში სსრ კავშირის ჩემპიონმა, თბილისელმა ა. მეტრეველმა გამარჯვებაც იზეიმა და წაგების სიმწარეც იწვნია: ს. ლიხაჩოვთან ერთად მან წყვილთა ფინალურ მატჩში ფარ-ხმალი დააყრევინა უძლიერეს ფრანგულ დუეტს — პ. ბერტსსა და დ. კონტეს (4:6, 9:7, 6:4, 5:7, 7:5), ხოლო ერთეულების თანრიგის გადამწყვეტ მატჩში დამარცხდა იტალიური ჩოგბურთის ვეტერანთან ნ. პიეტრანჯელისთან — 2:6, 2:6.

ქალთა შორის ყველას აჯობა ჩეხოსლოვაკიელმა ვ. ვოპიჩკოვამ, რომელმაც ფინალში სძლია ამერიკელ ჰანთერს.

## ომარ ბლიაძე — უძლიერესი

## ბუშინ...

კუიბიშევში დამთავრდა სსრ კავშირის ჩემპიონატი კლასიკურ ჭიდაობაში. საშუალო წონაში ჩემპიონის ოქროს მედალი დაისაკუთრა თბილისელმა ომარ ბლიაძემ.

ჩემპიონები გახდნენ, აგრეთვე, ერევნელი ზ. ზახარიანი (მჩატე წონა), მოსკოვის ოლქის წარმომადგენელი ბ. საპუნოვი (მსუბუქი) და მინსკელი ვ. სუსიჩი (მძიმე).

საშუალო წონაში ვერცხლის მედალი მოიპოვა თბილისელმა თ. მამავარიანმა.

## ᲗᲘᲗᲥᲛᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲞᲠᲘᲖᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲣᲨᲙᲔᲢᲔᲠᲔᲑᲡ

ლონდონი, 16 აპრილი. ახალგაზრდა მოფარიკავეთა აქ გამართული მსოფლიო ჩემპიონატი საბჭოთა სპორტსმენების ბრწყინვალე წარმატებით აღინიშნა. შეჯიბრების ბოლო დღეს ოქროს მედალი მოიპოვა ესპადრონისტმა ვ. კროვოპუსკოვმა. მოსკოველმა სტუდენტმა ფინალში ხუთივე ორთაბრძოლა მოიგო.

ფინალში სამივე საბჭოთა ესპადრონისტი მონაწილეობდა. მოსკოველმა პ. რენსკიმ ბრინჯაოს მედალი მოიხვეჭა, ხოლო თბილისელმა დ. შარაშენიძემ V ადგილი დაიკავა. ვერცხლის მედალს დაეპატრონა ფრანგი ტაკებიუ, ხოლო IV ადგილზე გავიდა უნგრელი კოშიჩი.

ამრიგად, ოქროს ოთხი მედლიდან სამი საბჭოთა სპორტსმენებს ხვდათ წილად: კროვოპუსკოვამდე ჩემპიონები გახდნენ სვერდლოვსკელი ნატაშა კოზლენკო და მოსკოველი ი. სამოშკინი.

საბჭოთა ჭაბუკებსა და ქალიშვილებს მერვედ გადაეცათ ახალგაზრდული მსოფლიო ჩემპიონატის გუნდური პრიზი.



• • •

სურათზე: გამარჯვებული გუნდი (მარცხნიდან) — დ. შარაშენიძე, ი. სამოშკინი, ვ. როხარი, ნ. დელიუკინი, ტ. კონურკინა, ნ. კოზლენკო, ა. ვოლოშინი, ს. იუდიჩენკო, ვ. კროვოპუსკოვი, ო. ხნიში.

ფოტო ვ. უნ და-სინისა (საკდესი).

## ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

● ანტიბი, 16 აპრილი. საფრანგეთის ამ პატარა ქალაქში დამთავრდა კალათბურთელ ვაჟთა საერთაშორისო ტურნირი. ფინალურ მატჩში მოსკოვის ნაკრებმა დაამარცხა ვარშავის ნაკრები (87:64) და პირველობა მოიპოვა. III ადგილზეა ადგილობრივი „ოლიმპიკი“, რომელმაც მოუგო შეხვედრა ცნობილ იტალიურ კლუბს „იგნისს“ — 98:81.

● მალმე, 16 აპრილი. ახალგაზრდა შვედელმა ბადროს მტყორცნელმა, ორმეტრიანმა გიგანტმა რიკი ბრუმმა თავისი ქვეყნისა და სკანდინავიის ახალი რეკორდი დაამყარა — 61,77 მ. ამ ნიჭიერმა მძლეოსანმა სულ რამდენიმე დღის წინათ გადალახა 60-მეტრიანი ზღვარი და იმედოვნებს წლეულს ბადრო 64 მეტრს იქეთ გაგზავნოს.

● დამასკო, 16 აპრილი. მოსკოვის „დინამოს“ კალათბურთელმა ვაჟებმა მოუგეს თამაში ადგილობრივ ნაკრებს — 93:50.

● სიდნეი, 16 აპრილი. 17 წლის დეიდრი ბერნარდმა ყველას აჯობა საწყლოსნო თხილამურებით ხტომაში ავსტრალიის ღია ჩემპიონატში. გამარჯვებულის შედეგია 28 მ. დეიდრი ქალიშვილია პროფესორ ბერნარდისა — მსოფლიოში ჯერჯერობით ერთადერთი ქირურგისა, რომელმაც წარმატებით განახორციელა ადამიანის გულის გადანერგვა.

● ტოკიო, 16 აპრილი. იაპონელმა სტუდენტმა ი. უსამიმ მოიპოვა თავისი ქვეყნის ჩემპიონის წოდება მარათონულ რბენაში. მისი შედეგი — 2:13.49,0 ერთ-ერთი საუკეთესოა მძლეოსნობის ისტორიაში.

● იუჯინი, 16 აპრილი. ამერიკელმა ჭოკით მხტომელმა ბ. სიბრენმა ამ ქალაქში დაძლია 522 სმ.

## [illegible]

◆ ბუდაპეშტი, 16 აპრილი. არმიელ მოკრივეთა აქ დამთავრებულ ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირში საბჭოთა კავშირის წარმომადგენლებმა 11 პირველი ადგილიდან 4 მოიპოვეს. ამდენივე პირველი ადგილი ხვდათ წილად რინგის მასპინძლებს — უნგრელ სპორტსმენებს. აი, გამარჯვებული საბჭოთა არმიელები: მოსკოველი ვ. შირშოვი (მსუბუქი წონა), სსრ კავშირის ხალხთა IV საიუბილეო სპარტაკიადის ჩემპიონი, კიეველი ვ. მუსალიმოვი (მეორე ქვემსუბუქი), ვლადივოსტოკელი ა. შაპილოვი (პირველი საშუალო) და ლენინგრადელი ვ. ემელიანოვი (მძიმე). II ადგილები დაიკავეს: ხაბაროვსკელმა ვ. კალმიკოვმა (ქვემსუბუქი) და ტაშკენტელმა ვ. შაბელნიკოვმა (მეორე საშუალო).

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჩვენს ძმურ რესპუბლიკებში

# სპორტული ლატვია

სტატისტიკით, ბურჟუაზიულ ლატვიაში 1950 წლამდე მხოლოდ 18 ათასი სპორტსმენი იყო. ნათლად რომ არ ახასიათებდეს ქვეყნის იმდროინდელ სპორტულ ცხოვრებას, ამ უმნიშვნელო ციფრის შეიძლება გახსენებაც არ ღირდეს.

ფიზიკური კულტურითა და სპორტით მონიჭებული სიამოვნება ბურჟუაზიულ რესპუბლიკაში საკმაოდ ძვირად ფასობდა. ყველაფერი ფული ღირდა — სპორტული მოედნითა და ინვენტარით სარგებლობა, მწვრთნელის სამსახური. ამიტომ სპორტში რეგულარულად მეცადინეობა მხოლოდ მდიდრებს, მატერიალურად უზრუნველყოფილ პირებს შეეძლოთ. მუშათა სპორტულ წრეებს, რომლებიც ლატვიის მხოლოდ 3-4 დიდ ქალაქში თუ არსებობდნენ, ფინანსური ბაზა მეტად სუსტი ჰქონდათ და ბურჟუაზიულ სპორტს მეტოქეობას, რა თქმა უნდა, ვერ გაუწევდნენ. იშვიათად თუ ვინმე მუშათაგანი დიდ სპორტში გზას გაიკაფავდა. არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ ეს წრეები უმთავრესად პროგრესული ორგანიზაციები იყვნენ და სასტიკ რეპრესიებს განიცდიდნენ ფაშისტური რეჟიმის მხრივ.

რასაკვირველია, ლატვიაში იყვნენ ცალკეული ნიჭიერი სპორტსმენებიც. მაგრამ რა ფასი ჰქონდა ცარიელ ნიჭს ფულისა და გამორჩენის სამყაროში? 1924 წელს პარიზში, ტურნირში, რომელიც საფრანგეთის მოჭადრაკეთა კავშირმა ჩაატარა, I ადგილი რიგელმა მატისონმა დაიკავა. ამ ნიჭით მომადლებულმა სპორტსმენმა უკვე მანამდე მიაღწია შესანიშნავ შედეგებს, ალიოხინიც ჰყავდა დამარცხებული. მატისონმა მხოლოდ ფულადი შეწირულების წყალობით შეძლო ტურნირზე გამგზავრება. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ იგი დიდხანს უმუშევარი იყო და საშინელ სიღატაკეში დალია სული.

1934 წელს ცნობილმა ლატვიელმა მოჭიდავემ ა. ზვეინიეკსმა ძლივს მოახერხა რომის საერთაშორისო შეჯიბრებაში მონაწილეობა. მეგობრებმა თითქმის ბოლო წუთებში შეუგროვეს ცოტაოდენი სამგზავრო ფული. ამ შეჯიბრებაში ზვეინიეკსმა III ადგილი დაიკავა.

ლატვიაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამ (1940 წელს) მკვეთრად შეცვალა ვითარება. ისევე, როგორც საბჭოთა კავშირის სხვა მოძმე რესპუბლიკებში, ფიზკულტურამ და სპორტმა ლატვიაშიც საუკეთესო მატერიალური ბაზა მიიღო. მოკლე ხანში მომზადდა მწვრთნელთა და მასწავლებელთა მაღალკვალიფიციური კადრები, შეიქმნა სპორტული სკოლებისა და ბაზების ფართო ქსელი, გაიხსნა ფიზიკური კულტურისა და სპორტის ინსტიტუტი. ერთი სიტყვით, საბჭოთა ლატვიაში შეიქმნა ყველა პირობა, რომ სპორტში ჩაბმულიყო ასეულ ათასობით ადამიანი — მოსწავლეებიდან პენსიონერებამდე და აი, ახლა ჩვენს მიერ განვლილ შედარებით მოკლე გზას რომ გადავხედოთ, შეგვიძლია ვთქვათ: სპორტი ლატვიაში ხალხის საკუთრება გახდა. რესპუბლიკის ყოველი მეხუთე მცხოვრები (500 ათას კაცზე მეტი) სხვადასხვა სპორტულ საზოგადოებასა და ორგანიზაციაშია ჩაბმული.

დღეს ლატვიაში არის 21 სტადიონი, 245 კომპლექსური სპორტული მოედანი (სტადიონები უტრიბუნოდ, ან ათას ხუთასზე ნაკლები ადგილით), ფეხბურთის 310 მინდორი, კალათბურთის 970 და ფრენბურთის 2.345 მოედანი, ჩოგბურთის 100-ზე მეტი კორტი, 12 საცურაო აუზი, 44 ნიჩბოსნობისა და სანაოსნო სადგური, 350-ზე მეტი ტანვარჯიშული დარბაზი, ჰოკეის 119 მოედანი და 38 საციგურაო, მძლეოსნობის დახურული მანეჟი, 2 ველოტრეკი, 12 სათხილამურო ტრამპლინი. ასეთი ბაზა დიდ შესაძლებლობებს ქმნის სპორტული ოსტატობის ზრდისთვის, ფიზიკური კულტურის მასობრიობისთვის. მე მინდა ეს ნათქვამი ოლიმპიურ თამაშებში ლატვიელი სპორტსმენების მონაწილეობის ცალკეული შედარებითი ფაქტებით დავადასტურო.

1952 წელს ვალდმანისმა, რომელიც სსრ კავშირის კალათბურთელთა ნაკრებში გამოდიოდა, ვერცხლის მედალი მოიპოვა ჰელსინკში. 1956 წელი, მელბურნი — ინესა იაუნზემემ I ადგილი დაიკავა შუბის ტყორცნაში, ვ. სტეპანოვი (საშუალო წონა) II ადგილზეა ძალოსნობაში. 1960 წელი, რომი — ოთხმა ჩვენმა კალათბურთელმა ვერცხლი დაისაკუთრა. ბრინჯაოს ორი მედალი მოიპოვა მოფარიკავე ბ. ხაბაროვმა.

დაბოლოს, 1964 წელი, ტოკიო. სსრ კავშირის სპორტული დელეგაციის შემადგენლობაში 15 ლატვიელი იყო. მათ მოიპოვეს ოქროს 2, ვერცხლის 6, ბრინჯაოს 2 მედალი და გუნდურ ჩათვლაში გაუსწრეს ბელგიის, ირანის, არგენტინის, ინდოეთის, ავსტრიის, ბრაზილიის, მექსიკის, ესპანეთისა და სხვა ქვეყნების გუნდებს.

სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადები რესპუბლიკის სპორტული მოძრაობის წარმატებათა სარკეა. IV საიუბილეო სპარტაკიადაში დაძაბული ბრძოლა გაჩაღდა, ვინაიდან ბოლო ხანებში სპორტსმენთა მომზადების კლასი ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში შესამჩნევად ამაღლდა. მიუხედავად ამისა, ჩვენი დელეგაციის ყოველმა მეოთხე წევრმა (სულ დელეგაციაში 121 კაცი შედიოდა) საპრიზო ადგილი დაიკავა. განსაკუთრებით გაახარეს გულშემატკივრები მძლეოსანმა გ. ხლისტოვმა, რომელიც დღეს საერთაშორისო კლასის სპორტსმენია, ძ. ლაცისმა (ველოსპორტი), ი. ვერბელემ, ე. რინგამ (ორივე მძლეოსანია), ტტტ-ს კალათბურთელმა ქალებმა, დ. შვეცემ (ნიჩბოსნობა), „ოქროს ოთხეულმა" აკადემიურ ნიჩბოსნობაში. სასიხარულოა ცნობილი ოსტატის ი. ლუსისის მოლოდინისდელი წარმატებაც. სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადაში იგი ვერცხლს დასჯერდა ტრავმის გამო. შარშან შემოდგომით ლუსისმა ფრთები შეასხა თავის ძველ ოცნებას — შუბი 90 მეტრზე შორს გაგზავნა, რაც მეორე შედეგია სპორტის მთელი ისტორიის მანძილზე. შესანიშნავ წარმატებას აღწევს ჩვენი ნიჭიერი მოჭადრაკე ა. გიპსლისი. როგორც ცნობილია, მან ერთ წელიწადში ორი უმაღლესი ტიტული მოიპოვა — სსრ კავშირის დიდოსტატის და საერთაშორისო დიდოსტატისა.

როგორც ხედავთ, სპორტის განვითარებაში მცირე წარმატებები როდი გვაქვს. წინსვლა განსაკუთრებით საგრძნობია ჩვენთვის ტრადიციულ სახეობებში: კალათბურთში, ნიჩბოსნობაში, მძლეოსნობაში, ველოსპორტში, მოტოსპორტში, ფეხბურთში. მაგრამ ჩვენ ამ მიღწევებს არ ვჯერდებით და ახალი ამოცანა დავისახეთ: განვავითაროთ მასობრივი ოსტატობა, მოვამზადოთ მაღალი კვალიფიკაციის სპორტსმენთა მეტი რაოდენობა. ამ მიზნით რესპუბლიკის სპორტული საზოგადოებებისა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს ხელმძღვანელობამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ 1968-69 წლებში ჩატარდეს სპორტული მომზადების სპეციალიზაცია იმ სახეობებში, რომელთა განვითარებისთვისაც უკვე არსებობს სათანადო მატერიალური ბაზა, კადრები, ტრადიციები. სპეციალიზაციისთვის შერჩეულია სპორტის 19 სახეობა, მათ რიცხვში, აკადემიური ნიჩბოსნობა, ნიჩბოსნობა ბაიდარებითა და კანოეთი, კრივი, კალათბურთი, კლასიკური ჭიდაობა, ფეხბურთი, შაიბიანი ჰოკეი, ცურვა, ველოსპორტი, ჭადრაკი, ტყვიისა და სასტენდო სროლა, მძლეოსნობა, ძალოსნობა, ტანვარჯიში, ფრენბურთი და სხვ. გადაწყვეტილი გვაქვს ამ სახეობებში გამუდმებით ვზარდოთ საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატთა რიცხვი. სპორტსმენების აღზრდის, მომზადებისა და მაღალი მაჩვენებლებისთვის ბრძოლის ტემპი არც სხვა სახეობებში უნდა შევანელოთ.

ამოცანები იოლი არ არის, მაგრამ ჩვენ შეგვიძლია მათი წარმატებით გადაჭრა, მით უმეტეს, რომ უდიდეს დახმარებას გვიწევენ აქტივისტები, სპორტის მეგობრები. მარტო რიგაში ფედერაციებსა და სპორტულ საზოგადოებებს რამდენიმე ათასი კაცი ეხმარება. უფრო ხშირად ეს ახალგაზრდულ ასაკს გადაცილებული ხალხია, მუშები, მოსამსახურეები, ინჟინრები, მასწავლებლები. ეს ხალხი სპორტის ერთგულია, მას უთმობს თავისუფალ დროსა და ცოდნას. ნაყოფიერად მუშაობს სპორტული მშენებლობის ფედერაცია, რომელიც ჯერჯერობით მგონი ერთადერთია სსრ კავშირში. სწორედ ამ საზოგადოებრივი ორგანიზაციის აქტიურობასა და მონდომებას უნდა ვუმადლოდეთ ჩვენს რესპუბლიკაში მრავალი სპორტული ნაგებობის სწრაფ და მაღალხარისხოვან მშენებლობას. ქებას იმსახურებს თვალსაჩინო აგიტაციის ფედერაციაც, რომელშიც ბევრი მხატვარი, მოქანდაკე და დეკორატორი შედის. ამ ფედერაციის მოწყობილი გამოფენები, როგორიცაა, მაგალითად, „სპორტი ხელოვნებაში", დახმარებას გვიწევენ, რომ ფიზკულტურასა და სპორტში ლატვიის რაც შეიძლება მეტი მცხოვრები ჩავაბათ.

**რ. ელსბერგი,**
ლატვიის სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს თავმჯდომარე.

# სტარტზე არიან ავტომარზნელები

**ძიუდოისტთა ამასწინანდელ ევროპულ პირველობაში ქვესაშუალო წონის ჭაბუკთა შორის ჩემპიონობა დაისაკუთრა 18 წლის მინსკელმა ვ. კოსენიუკმა.**

**„არა, — უთხრა მან ჟურნალისტებს გამარჯვების შემდეგ, — მე ძიუდოისტი არა ვარ. ჩემი სპორტული სპეციალობა სამბოა, ძიუდო კი მხოლოდ ჰობია. სად გავხდი სპორტსმენი? ავტოქარხანაში. არმიაში გაწვევამდე იქ ვმუშაობდი ზეინკლად და პირველად იქ დავესწარი სამბისტების მეცადინეობას"...**

მინსკის ავტოქარხნის სპორტკლუბში მისვლისთანავე, რა თქმა უნდა, სამბისტების ამბავი ვიკითხე.

— ამ სახეობაში მეცადინეობის მსურველებს ძლივს ავუდივართ, — მითხრა სპორტკლუბის საორგანიზაციო განყოფილების გამგემ ბ. ლევიტმა. — სამბო განსაკუთრებით მოზარდებს იზიდავს. სექციაში თითქმის ასი კაცია ჩაბმული. ჩვენმა აღზრდილებმა გ. დეგტიარიოვმა და ვ. კოსენიუკმა ქვეყნის ჩემპიონობა მოიპოვეს ჭაბუკთა შორის...

მაგრამ არ გეგონოთ, რომ სამბოს სექციას რაიმე უპირატესობას ვანიჭებთ. ქარხანაში სპორტის 25 სახეობაა დანერგილი...

1961 წელს ამ საწარმოს სპორტსმენებმა, ქარხნის ფიზკულტურულ კოლექტივებში პირველებმა, სპორტული კლუბის საპატიო წოდება მოიპოვეს. სპორტის ისტორია კი ამ კოლექტივში 1947 წლიდან იწყება. პირველი სპორტული სექციები ქარხნის აგებიდან სამი წლის შემდეგ შეიქმნა.

სპორტკლუბის საწევრო გადასახადი წელიწადში 30 კაპიკია. თანხის საერთო ჯამი დაახლოებით 1800 მანეთს შეადგენს — ზღვაში წვეთია კლუბის 120-ათასიან ბიუჯეტთან. როგორ იქმნება იგი? პროფკავშირების ასიგნებით, აგრეთვე, საწარმოს ფონდიდან გამოყოფილი სახსრებით.

ქარხნის სპორტსმენთა განკარგულებაშია 2 სტადიონი, რამდენიმე სპორტდარბაზი, ველობაზა, ფრენბურთის, რიკაობის, კალათბურთის ათობით მოედანი, საციგურაოები. მალე მწყობრში ჩადგება 25-მეტრიანი დახურული საცურაო აუზი და კიდევ ერთი უნივერსალური სპორტდარბაზი.

რა თქმა უნდა, ყველაზე პოპულარულ სახეობათა რიცხვში ჰოკეი და ფეხბურთი შედის. საავტომობილო ქარხნის ჰოკეისტთა გუნდი ქვეყნის პირველობაში მონაწილეობს — „ა" კლასის მეორე ლიგაში თამაშობს.

მრავალი საპატიო პრიზი აქვთ მოპოვებული ამ საწარმოს ჩოგბურთელებს. ე. დუბროვი და მ. ზელიოვი სსრ კავშირის ნაკრების წევრები არიან, ახალგაზრდა სპორტსმენები ვ. კოზაკევიჩი და ლ. ნოვოშინსკაია ქვეყნის ახალგაზრდული ნაკრების შემადგენლობაში თამაშობენ.

სხვადასხვა ასპარეზობაში წარმატებით გამოდიან ქარხნის ველოსიპედისტები. საკავშირო ველორბოლაში გამარჯვებული ვ. ტკაჩენკო და სპორტის ოსტატი ნ. დუმიტრუკი სსრ კავშირის ნაკრების წევრები არიან.

ქარხანაში ნამდვილ სპორტულ ზეიმად იქცევა ხოლმე საზაფხულო და ზამთრის სპარტაკიადები. მაგალითად, პროფკავშირთა ზამთრის სპარტაკიადაში 7 ათასზე მეტი ავტოქარხნელი მონაწილეობდა, შარშანდელმა საზაფხულო სპარტაკიადამ კი თითქმის 10 ათას მონაწილეს მოუყარა თავი. ამ ზამთარს მინსკის საავტომობილო ქარხანაში პირველად ჩატარდა „მხნეობისა და ჯანმრთელობის სპარტაკიადა". შეჯიბრებაში სხვადასხვა ასაკის რამდენიმე ათასმა მუშამ მიიღო მონაწილეობა. სათხილამურო ესტაფეტის სტარტზე გამოვიდნენ ქარხნის დირექტორი, პარტიზანული რაზმის ყოფილი მეთაური ი. დიომინი და მთავარი ინჟინერი ბ. კლიპაცკი. მართალია, პირველობა ახალგაზრდობამ დაისაკუთრა, მაგრამ ვეტერანები ბოლომდე იბრძოდნენ და სარბიელი არ მიუტოვებიათ.

— ახლა მე სავსებით ვეთანხმები იმ აზრს, რომ სპორტში მთავარი რეკორდები კი არა, შეჯიბრებაში მონაწილეობაა, — თქვა დიომინმა. — მაგრამ ეს ფინიშის შემდეგ. სტარტზე ყველანი ერთი სურვილით გამოვდივართ — გამარჯვების სურვილით.

— ყველაზე მიმზიდველი ალბათ მეთევზეთა შეჯიბრება იყო, — მიამბობენ სპორტკლუბში ბიჭები. — ჩვენმა ფოტომოყვარულებმა მთელი თევზაობა გადაიღეს და ფირზე აღბეჭდეს ყველა ფსიქოლოგიური სტადია — აღფრთოვანებიდან სასოწარკვეთილებამდე. აბა, რა იქნებოდა! გამარჯვებულმა ორკილონახევარი თევზი დაიჭირა, ბოლო ადგილზე გასულმა კი ერთადერთი 200-გრამიანი ჭიჭყინა.

1967 წელს მინსკის ავტოქარხანაში თითქმის 8500 ფიზკულტურელი იყო. შარშან შვიდმა ავტომშენებელმა მოიპოვა სპორტის ოსტატობა, 15 კი ოსტატობის კანდიდატი გახდა. 1500-ზე მეტმა სათანრიგო ნორმები შეასრულა.

ქარხნის სპორტული მოძრაობის ენთუზიასტებს მიზნად აქვთ დასახული, რომ რაც შეიძლება მეტი ავტოქარხნელი დაამეგობრონ სპორტს. ამ მიზნით ხშირად ეწყობა ტურისტული ლაშქრობა, სათხილამურო გასეირნება, ექსკურსია მინსკის შემოგარენში. 1800 ავტოქარხნელმა დაისვენა ზამთრის სპორტულ-გამაჯანსაღებელ ბანაკში, 400 ჭაბუკმა და ქალიშვილმა ზაფხულის შვებულება ტურისტულ ბანაკ „იუნოსტში" გაატარა.

ქარხანაში მტკიცედ დამკვიდრდა საწარმოო ტანვარჯიში.

საწარმოს სპორტსმენები შეფობას უწევენ სოფლის ფიზკულტურელებს, ატარებენ მოსწავლეთა სპარტაკიადებს, ეხმარებიან პოპულარული საბავშვო შეჯიბრებების — „ტყავის ბურთის", „ოქროს შაიბის", „თოვლის ფიფქის" ორგანიზაციასა და ჩატარებაში.

* * *

მინსკის საავტომობილო ქარხნის სპორტკლუბის აღზრდილთა შორის ჯერ არ არიან უმაღლესი ტიტულის მქონე სპორტსმენები. მაგრამ ის გარემოება, რომ კლუბში მალე 9 ათასზე მეტი ფიზკულტურელი იქნება გაერთიანებული, თავისთავად მრავლისმეტყველია. ამ ცხრა ათას კაცს სპორტი აძლევს ჯანმრთელობას, ძალას, კარგ გუნებას. მე ვათვალიერებ „ოლიმპიურ" მედლებს, რომლებიც საწარმოს სპორტსმენებმა თავიანთ I ოლიმპიადაში მოიპოვეს (1967 წლის ზაფხულში) და ვფიქრობ, რომ მათ ნამდვილ ოლიმპიურ ჯილდოებზე ნაკლები მნიშვნელობა არა აქვთ, არა აქვთ იმიტომ, რომ ავტოქარხნელთა მედლები დადასტურებაა სპორტის მასობრიობისა, ნამდვილი სპორტული სულისკვეთებისა. ეს ყველაზე დიდი საგანძურია, რაც კი სპორტმა შეიძლება ადამიანს მისცეს.

**ა. ბატაშოვი.**

# ბავშვების სასახლე

ლიპეცკელმა ბავშვებმა მშვენიერი საჩუქარი მიიღეს: მწყობრში ჩადგა სპორტის სასახლე, რომლის საერთო ფართობი 22 ათასი მეტრია. სასახლეს აქვს დიდი სპორტული დარბაზი, აუზი, „მშრალი ცურვის" მცირე დარბაზი, მოჭადრაკეთა და მოშაშეთა კლუბი, კეთილმოწყობილი საშხაპეები და დასვენების ოთახები.

— ასეთი სასახლე ჯერჯერობით ერთადერთია ლიპეცკში, — ამბობს ადგილობრივი „სპარტაკის" თავმჯდომარე ი. თეიმურაზოვი. — სასახლე ლიპეცკელ მოსწავლეთა — მომავალ სპორტსმენთა განკარგულებაშია. ცურვის, ტანვარჯიშის, ჩოგბურთის, კალათბურთის, ფრენბურთის, კრივის ჯგუფებში ათასზე მეტი ბიჭი და გოგონაა გაერთიანებული. ჯგუფებს ხელმძღვანელობენ უმაღლესი და საშუალო ფიზკულტურული განათლების მქონე სპეციალისტები, ცნობილი სპორტის ოსტატები და პირველთანრიგოსნები.

უახლოეს წლებში ლიპეცკში აიგება კიდევ რამდენიმე დიდი სპორტული კორპუსი.

ლიპეცკი.

**ი. კოვალკინი.**

**გაზაფხული დადგა. ხეები მწვანედ შეიფოთლა. აზერბაიჯანის მარგალიტი გიოკ-გიოლის ტბა უკვე თავისკენ უხმობს ტურისტებს. წლეულს მის ნაპირებზე ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული ათასობით ტურისტი გაატარებს შვებულებას.**

* * *

**სურათზე: მაღალმთიანი ტბა გიოკ-გიოლი.**
ფოტო ი. რახილისა (საკდესი).



# საქართველოს ჩემპიონატი

შედგა მორიგი ტურის მატჩები.

● „მესხეთი" (ახალციხე) — „მეტალურგი" (ზესტაფონი) 1:4. მსაჯი ვ. შახნაზაროვი (თბილისი).

მასპინძლებმა ენერგიულად დაიწყეს თამაში და უკვე მე-15 წუთზე ბოცვაძემ ანგარიში გახსნა. მართალია, ამის შემდეგ თანაბრობა აღდგა (გოლი საკუთარ კარში გაიტანა „მეტალურგის" მცველმა), მაგრამ იმავე ბოცვაძემ დააწინაურა ზესტაფონელები. შემდგომში ახალციხელთა კარში კიდევ 2 ბურთი იქნა გატანილი.

● „გარეჯი" (საგარეჯო) — „ბახმარო" (ჩოხატაური) 1:1. მსაჯი რ. გუდაძე (თბილისი).

● ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „ლაითური" (მახარაძე) 4:1. მსაჯი მ. ნადიროვი (რუსთავი).

მატჩის დასაწყისი დაახლოებით თანაბარ ბრძოლაში მიმდინარეობდა და მეორე ტაიმის დასაწყისში ანგარიში იყო 1:1. სტუდენტებმა დარჩენილ დროში შეძლეს ინიციატივის მთლიანად ხელში აღება და საბოლოოდ დამაჯერებელი გამარჯვების მოპოვებაც.

● „ნარინჯი" (ბათუმის რაიონი) — „არაგვი" (მცხეთა) 2:1. მსაჯი ა. იზრაელაშვილი (ფოთი).

მატჩის დამთავრებას ბევრი არაფერი აკლდა და ანგარიში იყო ფრე— 1:1. აქ სტუმრების მეკარემ დაუშვა უხეში შეცდომა, რამაც საშუალება მისცა ჯიქიძეს გაეტანა გამარჯვების გოლი.

● „სინათლე" (თბილისი) — „დურუჯი" (ყვარელი) 0:2. მსაჯი ა. ვარდიაშვილი (თბილისი).

ყვარლელმა ფეხბურთელებმა საუკეთესოდ ჩაატარეს შეხვედრა და დამსახურებულად მოუგეს ლიდერს. მათ უკვე მე-5 წუთზე შეეძლოთ ანგარიშის გახსნა, მაგრამ კერესელიძემ ხელებში მისცა მეკარეს ბურთი. ანგარიში 29-ე წუთზე გახსნა სამიტაშვილმა, ხოლო შემდგომში მანვე მეორე ბურთი გაგზავნა „სინათლის" კარში.

● „კოლხეთი" (ცხაკაია) — „კოლმეურნე" (წალენჯიხა) 8:1. მსაჯი ა. მილჩენკო (სოხუმი).

● „ფეიქარი" (წულუკიძე) — „ქართლი" (გორის რაიონი) 6:0. მსაჯი ო. ალავიძე (თბილისი).

● „სულორი" (ვანი) — ასკ (თბილისი) 1:1. მსაჯი ვ. ჩიბურდანიძე (ბათუმი).

● „სპარტაკი" (ბორჯომი) — „ისანი" (თბილისი) 4:1. მსაჯი გ. პოლოსიანი (სოხუმი).

● „ლოკომოტივი" (სამტრედია) — „მშენებელი" (სიღნაღი) 2:1. მსაჯი ა. ხუტაბა (სოხუმი).

* * *

აწყურის „სამცხე" არ ჩავიდა გალის „აეროსთან" სათამაშოდ, რისთვისაც მას ჩაეთვალა წაგება.

## I ჯგუფის II ქვეჯგუფი

### I ზონა

„ბახტრიონი" (ახმეტა) — „თრიალეთი" (წალკა) 3:0, „შირაქი" (წითელწყარო) — „კოლმეურნე" (მარნეული) 2:4, „ჰერეთი" (ლაგოდეხი) — „განთიადი" (კასპი) 4:2, „არაგვი" (დუშეთი) — „ელმავალმშენი" (თბილისი) 2:1, „გარისი" (თეთრი წყარო) — „სამგორი" (გარდაბანი) 1:2, „ზემო ქართლი" (ხაშური) — „აბული" (ახალქალაქი) 3:1, „ფარვანა" (ბოგდანოვკა) — „ვაზისუბანი" (გურჯაანი) 3:3, „ვარძია" (ასპინძა) — „მეტალურგი" (რუსთავი) 0:3.

### II ზონა

„რიწა" (გუდაუთა) — „განახლება" (ადიგენი) 3:3, „იმერეთი" (თერჯოლა) — „ჩიხურა" (საჩხერე) 0:0, „კოლხეთი" (ხობი) — „ტორპედო" (ქუთაისი) 1:0, „განთიადი" (აბაშა) — „დინამო" (ოჩამჩირე) 2:0, „ელექტრიკოსი" (ქუთაისი) — „განთიადი" (ტყიბული) 6:1, „საირმე" (მაიაკოვსკი) — „კოლხეთმშენი" (ფოთი) 2:1, „მშენებელი" (ჭიათურა) — „სამგურალი" (წყალტუბო) 0:6, „კოლმეურნე" (ჩხოროწყუ) — „სალხინო" (გეგეჭკორი) 1:1.




## I ჯგუფის I ქვეჯგუფის
## ვათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 17 აპრილისთვის.

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „აერო" (გალი) | 7 | 5 | 2 | 0 | 13—5 | 12 |
| „სპარტაკი" (ბორჯომი) | 7 | 4 | 3 | 0 | 15—7 | 11 |
| „ლოკომოტივი" (სამტრედია) | 7 | 5 | 1 | 1 | 11—5 | 11 |
| „სინათლე" (თბილისი) | 7 | 5 | 1 | 1 | 9—3 | 11 |
| „კოლხეთი" (ცხაკაია) | 6 | 3 | 3 | 0 | 16—5 | 9 |
| ფიზკულტურის ინსტ. (თბილისი) | 7 | 4 | 1 | 2 | 14—9 | 9 |
| „სულორი" (ვანი) | 7 | 4 | 1 | 2 | 9—8 | 9 |
| „დურუჯი" (ყვარელი) | 6 | 4 | 0 | 2 | 15—5 | 8 |
| ასკ (თბილისი) | 7 | 2 | 4 | 1 | 12—6 | 8 |
| „მეტალურგი" (ზესტაფონი) | 7 | 3 | 2 | 2 | 11—7 | 8 |
| „მშენებელი" (სიღნაღი) | 7 | 2 | 3 | 2 | 8—9 | 7 |
| „ფეიქარი" (წულუკიძე) | 7 | 2 | 2 | 3 | 12—15 | 6 |
| „ნარინჯი" (ბათუმის რაიონი) | 7 | 2 | 2 | 3 | 8—12 | 6 |
| „გარეჯი" (საგარეჯო) | 7 | 2 | 1 | 4 | 8—10 | 5 |
| „მესხეთი" (ახალციხე) | 6 | 2 | 1 | 3 | 7—11 | 5 |
| „კოლმეურნე" (წალენჯიხა) | 8 | 1 | 3 | 4 | 6—17 | 5 |
| „არაგვი" (მცხეთა) | 5 | 2 | 0 | 3 | 6—7 | 4 |
| „სამცხე" (აწყური) | 6 | 1 | 2 | 3 | 6—7 | 4 |
| „ლაითური" (მახარაძე) | 6 | 1 | 2 | 3 | 5—10 | 4 |
| „ისანი" (თბილისი) | 8 | 1 | 1 | 6 | 4—19 | 3 |
| „ბახმარო" (ჩოხატაური) | 7 | 0 | 2 | 5 | 4—11 | 2 |
| „ქართლი" (გორის რაიონი) | 6 | 0 | 1 | 5 | 1—11 | 1 |



სპარეზოგისას მოტორბოლსმენის გონება ... სისწრაფით კარნახობს მოქმედებას ხელს, ფეხს, თვალს — სად დამუხრუჭებაა საჭირო, სად სისწრაფის მომატება... საკმარისია დაირღვეს სპორტსმენისა და მანქანის ურთიერთკავშირი, რომ ფოლადის რაში თავის მხედარს ძირს ჩამოაგდებს... ამ სურათზე, რომელიც დღეისში ამასწინანდელი საკავშირო კროსის დროსაა გადაღებული, სწორედ ამგვარი მომენტია აღბეჭდილი. სპორტსმენმა სისწრაფეს ერთბაშად უმატა და მოტოციკლი კინაღამ ხელიდან „გაუფრინდა".

ფოტო მ. ზარგარიანისა.

# ტალი მზადაა

ამ ორიოდე დღის წინ მოსკოვში სსრ კავშირის ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში „ლელოს" კორესპონდენტი **თ. გიორგაძე** შეხვდა დიდოსტატ მ. ტალის მწვრთნელს, სსრ კავშირის დამსახურებულ წვრთნელს, სპორტის ოსტატ **ა. კობლენცს** და ესაუბრა მას ტალ — გლიგორიჩის მატჩის თაობაზე.

● **როგორ გრძნობს ტალი თავს?**

— ახლა ჯანმრთელადაა. არაფერს უჩივის, მაგრამ ვწუხვარ, რომ ვერასგზით ვერ დავანებებინე თავი თამბაქოს.

● **თუ საიდუმლოება არ არის, როგორ ემზადებოდა იგი მატჩისთვის?**

— როგორც იცით, მისი ორთაბრძოლა გლიგორიჩთან 21 აპრილს დაიწყება ბელგრადში. ბევერვეიკის ტურნირის შემდეგ მზადებისთვის საკმაო დრო გვქონდა. თითქმის ერთ თვეს თეორიულ საკითხებს ვამუშავებდით. რა თქმა უნდა, პირველ ყოვლისა, ვაზუსტებდით იმ სადებიუტო სქემებს, რომლებიც უყვარს იუგოსლაველ დიდოსტატს. სავარჯიშო პარტიებსაც ვთამაშობდით.

● **და ეს, თქვენი აზრით, საკმარისია?**

— მხოლოდ ეს, რასაკვირველია, ცოტა იქნებოდა, რომ ტალს საწვრთნელი მატჩი არ ეთამაშა დიდოსტატ რ. ხოლმოვთან. საქმე ისაა, რომ ხოლმოვი ისეთივე პოზიციური სტილით თამაშობს, როგორც გლიგორიჩი. მისი დაცვის დაძლევა არც თუ ადვილია. ხოლმოვი კარგი სპარინგ-პარტნიორი აღმოჩნდა.

● **მერე და ვინ გაიმარჯვა?**

— ეს კი ახლა საიდუმლოებაა, ისე, როგორც მატჩის პარტიები. შემიძლია მხოლოდ ის ვთქვა, რომ თამაშის ხარისხით კმაყოფილი ვარ. ჩემი აზრით, ტალი სპორტულ ფორმაშია.

● **როგორ ფიქრობთ: ტალი გავა ნახევარფინალში?**

—უნდა გავიდეს. ადრე მან გლიგორიჩს 7 პარტია მოუგო და მხოლოდ ერთი წააგო. ახლა რა ღმერთი გაუწყრება! მით უმეტეს, რომ მოუზლვავდა ბრძოლის სურვილი.

● **რა ისმის გლიგორიჩის ბანაკიდან?**

— იუგოსლაველი დიდი გულმოდგინებით მოეკიდა მზადებას. მან მწვრთნელად „იუგოსლაველი ტალი" — ოსტატი დ. ველიმიროვიჩი მიიწვია. სხვათა შორის, შარშანწინველიმიროვიჩმა ბათუმის საერთაშორისო ტურნირში ითამაშა და შევამჩნევდით, რომ „ტალის სტილში" უყვარს შეწირვები, იერიში. რა თქმა უნდა, გლიგორიჩმა საუცხოოდ ივარჯიშა მასთან თამაშში.

● **მაშ რისთვისღა ეთამაშა მან მატჩი ჰოლანდიელ დიდოსტატ ი. დონერს. ჰოლანდიელი ხომ პოზიციურად თამაშობს?**

— გლიგორიჩმა შეამჩნია, რომ სსრ კავშირის ბოლო ჩემპიონატში ტალი საუცხოოდ თამაშობდა ენდშპილებს. ენდშპილში სავარჯიშოდ კი ველიმიროვიჩი არ გამოადგებოდა მას. როგორც იცით, გლიგორიჩმა მოიგო ორთაბრძოლა, რაც იუგოსლაველის კარგ მომზადებაზე მეტყველებს.

● **რატომ აირჩიეთ თამაშის ადგილად ბელგრადი?**

— იუგოსლავიაში ტალი მუდამ წარმატებით გამოდის. არ გვინდოდა, ტრადიციისთვის ღალატი.

● **როგორც ვიცით, ტალ—გლიგორიჩის მატჩში გამარჯვებული უნდა შეხვდეს კორჩნოი—რეშევსკის ორთაბრძოლაში გამარჯვებულს. თქვენი აზრით, ვინ იქნება ეს გამარჯვებული?**

— ობიექტურად, კორჩნოი უნდა იყოს. მაგრამ რეშევსკი ყოჩაღად თამაშობს მატჩებს. გასათვალისწინებელია ისიც, რომ 57 წლის ამერიკელს ალბათ უკანასკნელად ეძლევა მსოფლიო ჩემპიონთან მატჩის თამაშის შანსი. იგი არ დაიშურებს მონდომებას. დღემდე კორჩნოი და რეშევსკი ორჯერ შეხვედრიან ერთმანეთს და ორივე პარტია ყაიმით დაამთავრეს.

● **ვისი გამარჯვება გაძლევთ ხელს?**

— ორივე ძნელი მეტოქე იქნება. კორჩნოისთან ტალს არ გამოსდის თამაში, — ფსიქოლოგიურად ვერ იტანს ლენინგრადელის სტილს. ბევრი პარტია წაუგია მასთან. რეშევსკისთან შეიძლება გამარჯვებაზე ფიქრი. ისე კი ნაადრევია ამაზე ლაპარაკი: ჯერ გლიგორიჩის პრობლემაა გადასაჭრელი.

● **ბოლოსდაბოლოს, სად ჩატარდება კორჩნოი — რეშევსკის მატჩი?**

— რეშევსკის სამშობლოში სურდა თამაში. კორჩნოიმ—ევროპაში ვითამაშოთო. მოწვევა მოვიდა იუგოსლავიისა და ჰოლანდიის ფედერაციებიდან. იუგოსლავიურმა გაზეთმა „სპორტსკე ნოვოსტიმ" ცნობაც კი გამოაქვეყნა, კორჩნოი — რეშევსკის მატჩი იუგოსლავიაში ტარდებაო. მეტოქეები შეთანხმდნენ ითამაშონ ჰოლანდიაში. მატჩს 28 აპრილს დაიწყებენ.

## „ლელო" ინფორმაციას

## „ა" კლასი II ჯგუფი

## გუშინ...

თბილისის „ლოკომოტივის" სტადიონზე შედგა მორიგი კალენდარული მატჩი. ადგილობრივმა რკინიგზელებმა დაამარცხეს „სტროიტელი" (უფა) — 4:0. ტყიბულის „მეშახტემ" ფრედ (1:1) ითამაშა ჩელიაბინსკის „ლოკომოტივთან", ხოლო ბათუმის „დინამომ" ანგარიშით 2:0 მოუგო მაგნიტოგორსკის „მეტალურგს".

## რაიონებში

### ✦ თელავი

პიონერთა სახლში ჩატარდა მოსწავლეთა მასობრივი ტურნირი. მონაწილენი სამ ასაკობრივ ჯგუფად დაჰყვეს. უმცროსებში (8-10 წელი) გაიმარჯვა ა. იანვარაშვილმა (მე-4 სკოლა), საშუალო ასაკის (11-13 წელი) მოჭადრაკეებში — ზ. ბურტულაშვილმა (მე-2 სკოლა), უფროსებში (14-17 წელი) — მ. როსტომაშვილმა (მე-4 სკოლა).

* * *

რაიონის საშუალო სკოლების მოჭადრაკეთა გუნდურ პირველობაში 16 კოლექტივი მონაწილეობდა. I ადგილი დაიკავა თელავის 1-ლი სკოლის ნაკრებმა. ასეთივე შეჯიბრება მოეწყო შაშშიც. 18 საშუალო სკოლის წარმომადგენლებში პირველი იყო სოფელ კონდოლის გუნდი (კონდოლელებმა ჭადრაკში II ადგილი დაიკავეს).

**გ. ელიოზიშვილი,**
შეჯიბრების მსაჯი.

# მოზარდთა ტურნირი

გრძელდება ოსტატთა კოლექტივებთან არსებული მოსამზადებელი ჯგუფების რესპუბლიკური ტურნირი.

### I ზონა

„დინამო" (სოხუმი) — „ტორპედო" (ქუთაისი) 1:0, „მეშახტე" (ტყიბული) — „მაღაროელი" (ჭიათურა) 1:2, „კოლხეთი" (ფოთი) — „დინამო" (ბათუმი) 0:1, „ენგური" (ზუგდიდი) — „მერცხალი" (მახარაძე), 2:5, „გურია" (ლანჩხუთი)— ახალგაზრდობის საფეხბურთო სკოლა (გაგრა) 2:2.

### II ზონა

„ალაზანი" (გურჯაანი) — „კახეთი" (თელავი) 3:3, „სპარტაკი" (ცხინვალი) — „დინამო" (თბილისი) 0:4, „დილა" (გორი) — განათლების განყოფილება (თბილისი) 1:2, „შრომითი რეზერვები" (თბილისი) — „მეტალურგი" (რუსთავი) 0:1, მწვრთნელთა სკოლა (თბილისი) — ახალგაზრდობის საფეხბურთო სკოლა (თბილისი) 0:3, „ქარიშხალა" (თბილისი) — „ლოკომოტივი" (თბილისი) 1:3.

# ორ ზონაში

დაიწყო სსრ კავშირის პირველობის გათამაშება „ბ" კლასის გუნდებისთვის. ჩვენი რესპუბლიკის კოლექტივები, როგორც უწინ, მონაწილეობენ რსფსრ-ს გუნდებთან ერთად, მაგრამ ახლა ისინი ორ ზონაში გამოდიან: რსფსრ-ს III ზონაში თამაშობენ გორის „დილა", გურჯაანის „ალაზანი" და რუსთავის „მეტალურგი", ხოლო IV ზონაში — „შუქურა" (ქობულეთი), „მერცხალი" (მახარაძე), „ენგური" (ზუგდიდი), „დინამო" (სოხუმი), „კახეთი" (თელავი), „გურია" (ლანჩხუთი), „მაღაროელი" (ჭიათურა), „სპარტაკი" (ცხინვალი), „კოლხეთი" (ფოთი).

ზუგდიდის „ენგურს" გასვლითი მატჩი ჰქონდა ეჩმიაძინის „არაქსთან". გაიმარჯვეს მასპინძლებმა — 2:0.

ქობულეთის „შუქურამ" შინ მიიღო დერბენტის „უროჟაი". ჩვენი კორესპონდენტი ლ. ტრაპაიძე ამ მატჩზე გვატყობინებს შემდეგს:

„თამაში მიმდინარეობდა ნაწვიმარ მინდორზე. ქობულეთელებმა თავიდანვე მიაღწიეს ტერიტორიულ უპირატესობას და რამდენიმე ხელსაყრელი მომენტიც შექმნეს „უროჟაის" კართან, მაგრამ დიაკონიძეს, პოლტაჩიდისა და სხვათა საბოლოო დარტყმები ზუსტი არ იყო.

შესვენების შემდეგ „შუქურას" თავდამსხმელები მეტი ყურადღებით მოქმედებდნენ. ანგარიში გახსნა დიაკონიძემ, ხოლო შემდეგ ურუშაძემ მეორე ბურთი გაიტანა „უროჟაის" კარში — 2:0. აღნიშვნის ღირსია მასპინძელთა დაცვისა და მეკარე გუგუშვილის კარგი თამაში".

როგორც ჩვენმა ჭიათურელმა კორესპონდენტმა თ. შეყილაძემ ტელეფონით შეგვატყობინა, იქაური „მაღაროელის" პირველი მეტოქე იყო კიროვაკანის „ლორი".

პირდაპირ უნდა ითქვას, მატჩის შედეგით უკმაყოფილონი დარჩნენ მაყურებლები. მასპინძლები თითქმის მთელი 90 წუთის განმავლობაში ფლობდნენ უპირატესობას, მაგრამ გოლის გატანა ვერაფრით ვერ შეძლეს. მაგალითად, „მაღაროელის" თავდამსხმელს პავლიჩოვს ჯერ კიდევ შესვენებამდე მეტოქის კარის აღების რამდენიმე რეალური შესაძლებლობა ჰქონდა, მაგრამ ბურთი სისტემატურად ცდებოდა მიზანს. ძელს მოხვდა ჩიტაურის ძლიერი დარტყმა.

მოხდა ასეთი კურიოზული ამბავი: მე-80 წუთზე დაშავდა „ლორის" მეკარე მანუკიანი და მისი ადგილი კარში დაიკავა... მარცხენა მცველმა შაგინიანმა. ჭიათურელებმა ასეთ ხელსაყრელ სიტუაციაშიც კი ვერ შეძლეს თუნდაც ერთი ბურთის გატანა და იძულებული იყვნენ ფრეს დასჯერებოდნენ — 0:0.

„მაღაროელი" ასეთი შემადგენლობით თამაშობდა: შვანგირაძე, მიქაია, ბუაძე, სახვაძე, ლობანოვი, ჩიტაური, თურქია, კიკნაძე (ლექავა), ჭილაძე, გონგლაძე, პავლიჩოვი.

## „ბ" კლასი




როგორც 13 აპრილის ნომერში ვიტყობინებოდით, „ლელოს“ რედაქციამ გადაწყვიტა ჩაატაროს კონკურსი დევიზით — „სპორტული უნივერსიტეტი-68“.

გაგახსენებთ კონკურსის ჩატარების პირობებს: ყოველ ორ კვირაში ერთხელ „ლელოს“ მე-4 გვერდზე გამოქვეყნდება 10 კითხვისგან შემდგარი სერია. სულ გამოქვეყნდება კითხვების 10 სერია, კონკურსი გაგრძელდება 5 თვეს და შეჯამდება მეხიკოს ოლიმპიური თამაშებისთვის. თვითეულ კითხვას სწორი და ამომწურავი პასუხი უნდა გაეცეს, რისთვისაც კონკურსის მონაწილეს დაეწერება 1 ქულა. ამგვარად, თვითეული სერიის ქულათა მაქსიმუმი იქნება 10, ხოლო საერთოდ კონკურსის ქულათა მაქსიმუმი — 100;

კონკურსში გამარჯვებისთვის და პირველი პრიზის მოპოვებისთვის, თავისთავად ცხადია, აუცილებელია ქულათა მეტი რაოდენობის დაგროვება ყველა სერიის შედეგების დაჯამებისას, მაგრამ როგორც გამარჯვებისთვის, ისე სხვა ნებისმიერი პრიზის დამსახურებისთვის, აუცილებელია ქულათა სულ ცოტა 80 პროცენტის, ესე იგი 80 ქულის მოგროვება.

კონკურსში გამარჯვებულთათვის დაწესებულია შემდეგი პრიზები:

I პრიზი — კინოაპარატი;

II პრიზი — ფოტოაპარატი;

III პრიზი — ბაკურიანის 12-დღიანი საგზური (ზამთრის პერიოდში);

IV პრიზი — მაჯის საათი;

V პრიზი — ელექტროსაპარსი.

მაშ ასე, „ლელო“ იწყებს სპორტის მცოდნეთა კონკურსს და მასში მონაწილეობისთვის მოუხმობს ყველას!

## პირველი სერია

1. სად და რომელ წელს გაიმართა I ოლიმპიური თამაშები?
2. დაასახელეთ დედამიწის ყველაზე მაღალი მწვერვალი. რამდენი მეტრია იგი ზღვის დონიდან, როდის და ვინ იყვნენ მისი პირველი დამპყრობნი?
3. გარდა თბილისის „დინამოს“ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდისა, საქართველოს კიდევ რომელი გუნდები მონაწილეობდნენ სსრ კავშირის ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში და რომელ წლებში?
4. ვინ იყვნენ რომის ოლიმპიური თამაშების ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს პრიზიორი ვაჟები სიმაღლეზე ხტომაში?
5. საბჭოთა ფეხბურთელებმა პირველად რომელ წელს მიიღეს მონაწილეობა მსოფლიო ჩემპიონატში, როდის და როგორი შედეგებით დაამთავრეს შეხვედრები ქვეჯგუფში?
6. დაასახელეთ ქართველი მოჭადრაკე, რომელიც შეხვდა ქალთა პირველ მსოფლიო ჩემპიონს ვერა მენჩიკს. როდის და რომელ ტურნირში მოხდა ეს?
7. რომელ წლებში ფლობდნენ საქართველოს კალათბურთელთა გუნდები სსრ კავშირის ჩემპიონის ტიტულს და საბჭოთა კავშირის თასს?
8. დაასახელეთ ყველაზე დიდი სტადიონი მსოფლიოში. რომელ სახელმწიფოშია იგი და რამდენ მაყურებელს იტევს?
9. რას უდრის ლ. ჟაბოტინსკის მსოფლიო რეკორდი სამჭიდის ჯამში?
10. რას უდრის მარათონული დისტანცია და რატომ დაერქვა მას ეს სახელი?

პირველი სერიის კითხვებზე პასუხების გამოგზავნის ბოლო ვადაა 27 აპრილი (იგულისხმება საფოსტო განყოფილების შტემპელი).

პასუხები გამოგზავნეთ შემდეგი მისამართით: თბილისი-8, ლენინის ქ. № 14. „ლელოს“ რედაქცია, „სპორტული უნივერსიტეტი-68“.

კონკურსის მონაწილეთ ვთხოვთ, პასუხებს სახელსა და გვართან ერთად მიაწერონ თავიანთი მისამართი; კონვერტში ჩადონ ჩვენი გაზეთიდან ამოჭრილი სპეციალური შესაბამისი კუპონი, რომელიც კითხვების სერიას ერთვის (წინააღმდეგ შემთხვევაში პასუხები არ იქნება რეგისტრირებული და განხილული).

როგორც თვითეული სერიის პასუხები, ისე კონკურსის ლიდერთა გვარები, სისტემატურად გამოქვეყნდება მომდევნო სერიის დაბეჭდვამდე რამდენიმე დღით ადრე.

გისურვებთ ხეირიან სტარტსა და საპრიზო ადგილების დაკავებას სპორტის მცოდნეთა ჩვენს ჩემპიონატში, გაზეთ „ლელოს“ მკითხველებო, კონკურსის მონაწილენო!

კუპონი 1

# ოთარ ავალიშვილის სახელობის პრიზზე

ჩვენს რესპუბლიკაში კარგად იცნობენ შესანიშნავი ქართველი სპორტსმენის, ჩინებული კალათბურთელისა და ფრენბურთელის, აქტიური საზოგადოებრივი მუშაკის, გერმანელ ფაშისტებთან ბრძოლაში დაცემული მეომრის ოთარ ავალიშვილის სახელს. კალათბურთში მისი სახელობის ტურნირები უკვე ტრადიციად იქცა თბილისში. მორიგი ასპარეზობა გასულ კვირას გაიმართა კიროვის სახელობის პარკში.

... ტურნირის რეგლამენტი ჩვეულებრივი იყო: ეს შეჯიბრება ოლიმპიური სისტემით ტარდება — ორ 10-10-წუთიან ტაიმად. ბრძოლაში ჩაება ქალთა 4 და ვაჟთა 9 გუნდი.

ქალთა ასპარეზობის ფინალში მონაწილეობდნენ უნივერსიტეტისა და ფიზკულტურის ინსტიტუტის კალათბურთელები, რომელთაც შესაბამისად დაამარცხეს უცხო ენათა ინსტიტუტისა და „შრომითი რეზერვების“ გუნდები. რესპუბლიკის ჩემპიონებს — უნივერსიტეტის სპორტსმენებს არც ამჯერად ჰყავდათ ტოლი. მათ გაიმარჯვეს ანგარიშით 32:16 და საპატიო პრიზიც დაისაკუთრეს.

უფრო დაძაბულად წარიმართა ვაჟთა ტურნირი. ფინალისტებს 3-3 მატჩის ჩატარება დასჭირდათ. გადამწყვეტ შეხვედრამდე წაუგებლად მოვიდნენ უნივერსიტეტის გუნდი და პრიზის შარშანდელი მფლობელი „ცისარტყელა“. ზანამდე უნივერსიტეტის კოლექტივმა დაამარცხა „მეტრომშენისა“ (41:35) და [illegible] ინსტიტუტის გუნდები (51:50, დამატებით დროში), „ცისარტყელამ“ კი მოუგო „შრომითი რეზერვების“ წარმომადგენლებს (30:28) და ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდს (37:30).

ბოლო მატჩში განსაკუთრებით აღსანიშნავი იყო ა. ლომსაძის თამაში, რომელმაც თავის გუნდს 20 წუთში 20 ქულა მოუტანა!

ფინალში „ცისარტყელამ“, რომლის შემადგენლობაშიც ოთხი ვეტერანი გამოდიოდა (რ. ხომერიკი, ი. მირიანაშვილი, ა. ლომსაძე და ე. მარტიროსოვი), მედგარი წინააღმდეგობა გაუწია საქართველოს ჩემპიონებს. მე-16 წუთამდე წინ ეს გუნდი იყო. უნივერსიტეტელებმა მხოლოდ თამაშის დასასრულს შეძლეს გამარჯვების მოპოვება — 35:29.

ლ. ფალავანდიშვილი,
სპორტის დამსახურებული ოსტატი.

ტოკიოს ავტოსალონში გამოფინეს უცნაური სარბოლო მანქანა, რომელიც 1000 დოლარი ღირს. მიუხედავად ასეთი დიდი ფასისა, ამ მანქანით ორ მეტრსაც ვერ გაივლით. საქმე ის გახლავთ, რომ იგი გაკეთებულია... 3690 შოკოლადის ფილით.

ამ ორიგინალური მანქანის შექმნაში მონაწილეობა მიიღო ქალაქის მთავარი შოკოლადის ფაბრიკის ორასმა საუკეთესო კონდიტერმა, რომელთაც 20 დღის მუშაობა დასჭირდათ.

ფოტო აპ-აასისა.



## პირველი 4 ადგილი...

ბუქარესტი, 15 აპრილი. ორ დღეს გაგრძელდა სსრ კავშირისა და რუმინეთის ტანმოვარჯიშეთა ნაკრები გუნდების ამხანაგური შეჯიბრება. „ფლორიასკას“ დიდ დარბაზში მოსული მაყურებელი მხურვალედ მიესალმა საბჭოთა ტანმოვარჯიშე ქალებს, რომლებმაც ახალი, საინტერესო ოლიმპიური პროგრამა აჩვენეს.

პირველი ოთხი ადგილი დაიკავეს სტუმრებმა: ზ. ვორონინამ, ლ. პეტრიკმა, ო. კარასიოვამ და პ. ასტახოვამ. საბჭოთა გუნდმა 375,35 ქულა დააგროვა, რუმინეთისამ — 370,30.

## ჭადრაკის სამყაროში

☐ პუერტო-რიკო. მსოფლიო ჩემპიონმა ჭაბუკთა შორისა ს. კაპლანმა იოლად მოიგო თავისი ქვეყნის ჩემპიონატი — 8,5 ქულა 11-დან.

☐ ციურიხი. შვეიცარიის ჭადრაკის ფედერაციამ გამოაცხადა თავისი ოლიმპიური ნაკრები: მ. ბლაუ, ჰ. გლაუსერი, დ. კელერი, ი. კუპერი და ე. ვალტერი. გაზეთი „ნოიე ციურიხერ ცაიტუნგი“ იუწყება, რომ შვეიცარიელებს XIX ოლიმპიადისთვის მოამზადებს საბჭოთა დიდოსტატი პ. კერესი.

☐ ლონდონი. შვეიცარიული სისტემით (11 ტური) ჩატარდა ტრადიციული ტურნირი ესტბურნში, რომელშიც გაიმარჯვა ინგლისელმა ოსტატმა ქ. ბასმანმა. მან 8,5 ქულა მოაგროვა და ნახევარი ქულით ჩამოიტოვა ა. შაუფელბერგერი (შვეიცარია).

☐ რომი. იტალიის ჩემპიონი გახდა საერთაშორისო ოსტატი ს. ტატაი.

☐ ციურიხი. აქ ჩატარდა შვეიცარიელ ოსტატთა ტურნირი, რომლის თვითეული მონაწილე 60 წელზე მეტი ხნისა იყო. I-II ადგილები გაიყვეს რ. ბლასმა და ჰ. შნაიდერმა — 9-9 ქულა 10-დან.

☐ რომი. იტალიისა და საფრანგეთის ნაკრები გუნდების მიმოწერითი მატჩი დამთავრდა ფრედ — 20:20.

# ღრუბლებში, მწვერვალისკენ...

სოჭი, 15 აპრილი. 26 წლის გ. სავინმა (მოსკოვის ოლქი) დღეს ყველას აჯობა დაყოფილი სტარტით ინდივიდუალურ ველორბოლაში ახუნის მთაზე. 11-კილომეტრიანი დისტანცია მკვეთრი მოსახვევებითა და დიდი აღმართ-დაღმართებით (სტარტიდან ფინიშამდე სიმაღლეთა სხვაობამ 500 მეტრზე მეტი შეადგინა) მან 26 წუთსა და 43,2 წამში დაფარა. ეს ახუნის ტრასის ახალი რეკორდია და თითქმის 1 წუთით სჯობს ს. შეპელის 2 წლის წინანდელ მიღწევას.

ნაშუადღევს გაიმართა ჯგუფური რბოლა წრიულ ტრასაზე. იგი მოიგო პ. იიფერტმა, რომელმაც 20 წრე (70 კმ) 1 საათში, 32 წუთსა და 33,2 წამში გაიარა.

სავინი ჯგუფურ რბოლაში III ადგილზე აღმოჩნდა — 0,2 წამით ჩამორჩა გამარჯვებულს. მაგრამ გ. საიდხუჟინის (სოჭელმა ვეტერანმა ბრწყინვალედ დაფარა II ეტაპი — 135 კმ — 2:42.04,6) იტალიაში გამგზავრების შემდეგ სავინი სათავეში მოექცა რბოლას. მისი დროა 8:22.34,7. ამ ახალგაზრდა მრბოლელს მშვიდობის ველორბოლაში საბჭოთა ნაკრების ერთ-ერთ პირველ კანდიდატად ასახელებენ.

ტექნიკური შედეგები ასეთია: ინდივიდუალური რბოლა ახუნის მთაზე (შედეგები ჩათვლილია ბონიფიკაციით). 1. გ. სავინი — 25.43,2, 2. ვ. ბელკოვიჩი (ლენინგრადი) — 26.45,01, 3. ი. პომინოვი (ტაშკენტი) — 27.23,0, 4. რ. კალნენიეკსი (რიგა) — 27.39,5, 5. ს. შეპელი (დუშანბე) — 27.43,3, 6. ვ. ურბანოვიჩი (მინსკი) — 27.50,1.

გუნდური რბოლა 20 წრეზე. 1. პ. იიფერტი (ტარტუ) — 1:32.33,2, 2. ი. პოლუპანოვი (კიშინიოვი) — 1:33.03,3, 3. გ. სავინი — 1:33.18,4, 4. ნ. ფადეევი (ლიპეცკი) — 1:33.33,5, 5. რ. კალნენიეკსი — 1:33.33,5, 6. ა. კაზლაუსკასი (კაუნასი) — 1:33.33,5.

## ჩეხოსლოვაკიის იუნიორთა წარმატება

პარიზი, 15 აპრილი. ორშაბათს ჩეხოსლოვაკიის იუნიორ ფეხბურთელთა სასარგებლოდ დამთავრდა საფრანგეთის მინდვრებზე ჩატარებული ევროპული ჩემპიონატი. კანში გამართულ ფინალურ მატჩში ჩეხოსლოვაკიელებმა ანგარიშით 2:1 სძლიეს საფრანგეთის ნაკრებს. III ადგილი დაიკავეს პორტუგალიელმა ჭაბუკებმა, რომლებმაც დაამარცხეს ბულგარელები — 4:2.

უეფა-ს ტრადიციულ ტურნირში — ევროპის ჩემპიონატებში ორგზის გამარჯვებული სსრ კავშირის იუნიორთა ნაკრები ამჯერად უხეიროდ გამოვიდა და ჯგუფური შეჯიბრებიდან ნახევარფინალშიც კი ვერ მოხვდა.

## „500-ანების“ კლუბის ახალი წევრი

კასელი, 15 აპრილი. გფრ-ის ძალოსანთა ჩემპიონატში 17 წლის რ. მანგმა 502,5 კგ დააგროვა. იგი პირველი გერმანელი სპორტსმენია, რომელმაც 500-კილოგრამიან ზღვარს გადააჭარბა. ცალკეულ მოძრაობებში მანგის შედეგები ასეთია: აწევა — 175 კგ, ატაცი — 145 კგ, აკვრა — 182,5 კგ.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

საქართველოს სსრ და თბილისის ჩოგბურთის ფედერაციები იუწყებიან სპორტის ოსტატების არჩილ და ვანო ელერდაშვილების დედის
**სალომე ოქროს ასულ ელერდაშვილის**
გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14. 8 უე 03185